ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5033888

ნომერი: AR1758755

თარიღი : 20.07.2020

გაცემის თარიღი : 21.07.2020

გაცნობის თარიღი : 21.07.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაიონი სამგორი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ მექვაბიშვილი პ/ნ 61001025751
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 215 ბ. 43

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2764464
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 8.08.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ბლოკი 3
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მირიანაშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ნიუ სითი დეველოფმენთ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205249248

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405062836
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ მექვაბიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61001025751

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1584.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1176.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 7743.6
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3706.2
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 316.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 386.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1350.4
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 234.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1749.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 17560.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 14180.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3380.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 45.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 39.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=733.5/1584=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=5895.7/1584=3.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=407.5/1584=0.3

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 4561854
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 26.06.2019

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 4578929
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.07.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №327 დადგენილებით შევიდა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში და დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი

ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
(შენობის განაშენიანების ფართობი არის ყველა სართულის განაშენიანების ფართობების ჯამი. სართულის განაშენიანების ფართობი განისაზღვრება სართულის გეგმის გარე კონტურში მოქცეული ფართობით, ტერასების ფართობების გამოკლებით.)
აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა კორექტირებით დასამატებელი შენობის განაშენიანების ფართობი არ აღემატებოდეს 4561854 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის შენობის განაშენიანების ფართობის 20%ს (წარმოდგენილ იქნას შენობის განაშენიანების ფართობის ზემოაღნიშნული წესით დათვლილი კროკები) ან მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ასევე გაითვალისწინეთ ხარვეზები:
1... არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებზე მონიშნეთ კონკრეტული ბლოკის არეალი. თქვენი განმარტების თანახმად -6,40 ნიშნულზე დამატებით ეწყობა სართული. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოწყობილია დარღვევით წინსწრებად, საჭიროა წარმოადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ყოფ. ზედამხედველობის სამსახურის) მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევასთან დაკავშირებით და შესაბამისი გადახდის ქვითარი.
2..... დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ კვლევის დასრულების შემდგომ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

- იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს კორექტირებაზე მსჯელობა, საჭიროა დაკორექტირდეს დოკუმენტაცია ზემოაღნიშნული ხარვეზების შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.